ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ74. 742405911**

თარიღი:**28/02/2024**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ს 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს:

   ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი N1-ის შესაბამისად;

   ბ) 2024 - 2025 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი N2 - ის შესაბამისად;

   გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ფორმა N3 დანართის შესაბამისად.

2. ადმინისტრაციული და საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა, შესყიდვების სამსახურთან ერთად, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია.

3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.N11)

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი N1

დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად, თანდართული რედაქციით:

1	დავით ჩერქეზიშვილი	მერი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე
2	გიორგი ლომთაძე	მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე
3	ალექსანდრე ქათამაძე	მერის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი
4	თეიმურაზ ცქიფურიშვილი	ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
5	შორენა გოგილიძე	შესყიდვების სამსახურის უფროსის მ/შ, სამუშაო ჯგუფის წევრი
6	ვახტანგი გვენეტაძე	ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი
7	კახაბერ ბოჭორიშვილი	ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ სამუშაო ჯგუფის წევრი
8	ოლეგი ქარქაშაძე	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი
9	ზაზა ზოსიაშვილი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურისა განვითარების სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი
10	კობა რობაქიძე	იურიდიული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი
11	კობა რობაქიძე	ჯამრთელობისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის მ/შ, სამუშაო ჯგუფის წევრი.
12	ირაკლი მერკვილაძე	ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი
13	უჩა ჩიტიძე	მერის თანაშემწე საერთაშორისო და საგრანტო პროექტების მოძიებისა და ადმინისტრირების მიმართულებით, სამუშაო ჯგუფის წევრი
14	მანული გაბრიჭიძე	ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველი კატეგორიის უფ.სპეციალისტი ბიუჯეტირების საკითხებში , სამუშაო ჯგუფის წევრი
15	თეიმურაზ ქელბაქიანი	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, მოწვევით, სამუშაო ჯგუფის წევრი
16	ისიდორე ლომთაძე	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მოწვევით, სამუშაო ჯგუფის წევრი
17	იზოლდა ნემსაძე	საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, მოწვევით, სამუშაო ჯგუფის წევრი

დანართი N2

დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კალენდარი თანდართული რედაქციით

N	ვადა	აქტივობა
1	1 მარტი	სამართლებრივი აქტის შესაბამისად, ბიუჯეტის დაგეგმვის, პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესამიშავებლად, მუნიციპალიტეტში იქმნება სამუშაო ჯგუფი
2	20 ივნისი - 10 აგვისტო	საბიუჯეტო ორგანიზაციები და პასუხისმგებელი სამსახურები, მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე, აგროვებენ ახალი/მოქმედი პროგრამის /ქვეპროგრამის შესახებ ინფორმაციას, კომპეტენციის ფარგლებში დარგების შესაბამისად განსაზღვრავენ პრიორიტეტულ მიმართულებებს, მუშაობენ პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვერსიაზე
3	15 აგვისტო	სამუშაო ჯგუფი მერს მოსაწონებლად წარუდგენს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს
4	15 აგვისტო	მუნიციპალიტეტის მერი იწონებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს
5	15 აგვისტო	სამუშაო ჯგუფი ადგენს ხარჯების ლიმიტს საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და ახალი/მოქმედი პროგრამების/ქვეპროგრამებისათვის და ბიუჯეტის ცირკულარს სააპლიკაციო ფორმასთან ერთად დაფინანსების ზღვრული ჭერებისა და რიცხოვნობის მითითებით უგზავნის საბიუჯეტო ორგანიზაციებს, პროგრამის განმახორციელებელ სამსახურებს.
6	25 აგვისტო	სამუშაო ჯგუფი მერს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას
7	1 სექტემბერი	მუნიციპალიტეტის მერი ამტკიცებსს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას
8	15 სექტემბერი	საბიუჯეტო ორგანიზაციები წარუდგენენ თავის საბიუჯეტო მოთხოვნებს მუნიციპალიტეტის მერს.
9	1 ოქტომბერი	ადმინისტრაციული და საფინანსო საბიუჯეტო სამსახური ამზადებს ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს
10	5 ოქტომბერი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცნობებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარების, გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების და მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს
11	30 ოქტომბერი	სამუშაო ჯგუფი განახლებული საპროგნოზო მონაცემების შესაბამისად დააკორექტირებს ბიუჯეტის წინასწარ ვარიანტს
12	1 ნოემბერი	ადმინისტრაციული და საფინანსო საბიუჯეტო სამსახური ამზადებს ბიუჯეტის პროექტის წარსადგენ ვერსიას და პრიორიტეტების დოკუმენტის დაზუსტებულ ვარიანტს
13	10 ნოემბერი	ადმინსტრაციული და საფინანსო საბიუჯეტო სამსახური ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის დაზუსტებულ ვარიანტს წარუდგენს სამუშაო ჯგუფსა და მერის მრჩეველთა საბჭოს. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ახდენს წარდგენილი დოკუმენტების კორექტირებას და ამზადებს მას მერისათვის გადასაცემად.
14	15 ნოემბერი	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს საკრებულოს შესაბამის პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად.
15	20 ნოემბერი	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოსათვის წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნდება საჯარო განხილვისთვის.

16	25 ნოემბერი	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს.
17	10 დეკემბერი	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს საკრებულოს.
18	31 დეკემბერი	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

დანართი N3

დამტკიცდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების და პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი სამსახურების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ნუსხა თანდართული რედაქციით:

პროგრამის დასახელება								
პროგრამული კოდი								
ფუნქციონალური კოდი								
პროგრამის განმახორციელებელი								
პროგრამის აღწერა								
პროგრამის მიზანი								
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი								
პროგრამის განხორციელების ვადები								
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი								
შედეგების შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო მაჩვენებელი 2024 წელი	მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელი	მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელი	მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელი	მიზნობრივი მაჩვენებელი 2028 წელი	ცდომილების ალბათობა (%)	შესაძლო რისკები